

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 19.11.2025 № 235 ბრძანებით

მოდიფიცირებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 26.02.2026 № 61 ბრძანებით



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სავაგონო მეურნეობა

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: ნათია სვანიძე, გიორგი დოდელია

საკონტაქტო ინფორმაცია: T: 0322 20 54 24

e-mail: info.rtc.2016@gmail.com

თბილისი
2026 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) სავაგონო მეურნეობა; Railway Car Maintenance
2. სარეგისტრაციო ნომერი - 07.21.1
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სავაგონო მეურნეობაში; Secondary Vocational Qualification in Railway Car Maintenance
4. მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

5. კვალიფიკაციის დონე

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - დონე

6. კლასიფიკაციის აღწერა

- 6.1 ISCED კოდი და აღწერა: 0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები - "შეისწავლის ძრავიანი ტრანსპორტის (მათ შორის, დედამიწაზე მოძრავი მანქანები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საფრენი აპარატები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, შენარჩუნებას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას"
- 6.2 ISCO კოდი: 7223 - ზეინკალ-მექანიკოსები; 7233 - სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მოწყობილობების ინჟინერ-მექანიკოსები; 3115 - მექანიზირებული ინჟინერიის ტექნიკოსები; 8211-მექანიკური მანქანების ამწყობები.
- 6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 33.11.0 - ლითონის მზა ნაწარმის რემონტი; 33.12.0 - მანქანების და მოწყობილობების რემონტი; 33.17.0 - სხვა სატრანსპორტო საშუალებების რემონტი და ტექნიკური მომსახურება.
7. დასაქმების შესაძლებლობები - სავაგონო მეურნეობის მექანიკოსს შეუძლია დასაქმდეს: რკინიგზის სამგზავრო და სავაგონო მეურნეობის დეპოებში, მიმდინარე-ახსნითი შეკეთების საამქროებში, ტექნიკური მომსახურეობის პუნქტებში, ვაგონმშენებელი და/ან ვაგონშემკეთებელი ქარხნებში, მეტროპოლიტენის ვაგონსარემონტო საწარმოებში

8. დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება;

საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

9. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. გამოხაზოს დეტალები და სქემები ზომებსა და მასშტაბში
2. გაიანგარიშოს ელექტრომოწობილობებისა და დანადგარების ძირითადი პარამეტრები
3. უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებზე მუშაობისას
4. შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები.
5. შეამოწმოს/შეაკეთოს რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობა
6. შეამოწმოს/შეაკეთოს სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილები
7. შეამოწმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილები
8. შეამოწმოს/შეაკეთოს ვაგონის ძარის და დამრტყმელ-საწვევი მოწყობილობები
9. შეამოწმოს/შეაკეთოს სამუხრუჭე მოწყობილობები
10. შეამოწმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობები
11. შეამოწმოს/შეაკეთოს სამგზავრო ვაგონების ელექტროდანადგარები და ელექტრომოწყობილობები.

10. სწავლის შედეგების დეტალური აღწერა

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	საკვანძო კომპეტენციები								
			მშობლიურ ენაზე	ენაზე	მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო	აითრთობი	დამოუკიდებლად	პიროვნებათმორისი	მისწრაფობა	კულტურული	
სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"> • აღმოუჩენს/უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო დახმარებას/დახმარების გაწევას; 	<ul style="list-style-type: none"> • იცის ორგანიზაციის სტრუქტურა; • იცის საკუთარი უფლებები და მოვალეობები; 	✓		✓		✓				

	<ul style="list-style-type: none"> • იცავს (პირადი და სამუშაო ადგილის) სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს; • იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს; • იცავს გარემოს დაცვით ნორმებს; • იცავს სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს; • იცავს პროფესიულ ეთიკას. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის პროფესიული პასუხისმგებლობები; • იცის თვითშეფასების ხერხები და საშუალებები; • იცის თვითშეფასების მნიშვნელობა პროფესიული განვითარებისათვის; • იცის პროფესიული განვითარების სხვადასხვა საშუალების შესახებ; • იცის პროფესიული ლიტერატურის მნიშვნელობა და გამოყენება; • იცის ინტერნეტრესურსების მნიშვნელობა საჭიროებებისამებრ; • იცის პროფესიული გაერთიანებების აქტივობების შესახებ; • იცის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გამოყენება ადეკვატურად; • იცის პროფესიული განვითარების დაგეგმვის გზები და ხერხები; • იცის ხელმძღვანელის შესაძლებლობების გამოყენება საკუთარი განვითარებისათვის; • იცის ეფექტური კომუნიკაციის გზები და ხერხები; • იცის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების მოძიების ხერხები; 									
--	---	---	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> • იცის პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ჩართვის გზები და შესაძლებლობები. 									
<p>ვაგონის ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ახდენს ძარის და დამრტყმელ - საწევი მოწყობილობების დანიშნულების, კონსტრუქციების და მუშაობის პრინციპების აღწერას; • ჩამოთვლის ძარის შემადგენელ ნაწილებს; • განმარტავს ძარის საექსპლუატაციო პირობებს; • აღწერს ძარის მოვლის თავისებურებებს; • ჩამოთვლის დამრტყმელ-საწევი მოწყობილობის ტექნიკურ მახასიათებლებს; • აღწერს დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების საექსპლუატაციო პირობებს; • აღწერს ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების შესაძლო უწესივრობების გამოვლენის ხერხებს; • განსაზღვრავს მზომი თარგის გამოყენებით ავტოგადაბმულობის პატარა კბილის შემოწმების პრინციპებს; • ახდენს გადახსნისაგან დამცველის მუშაობის შემოწმებას; 	<ul style="list-style-type: none"> • იცის ძარის და დამრტყმელ - საწევი მოწყობილობების დანიშნულების, კონსტრუქციების და მუშაობის პრინციპების აღწერა; • იცის ძარის შემადგენელ ნაწილები; • იცის ძარის საექსპლუატაციო პირობები; • იცის ძარის მოვლის თავისებურებები; • იცის დამრტყმელ-საწევი მოწყობილობის ტექნიკურ მახასიათებლები; • იცის დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების საექსპლუატაციო პირობები; • იცის ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების შესაძლო უწესივრობების გამოვლენის ხერხები; • იცის მზომი თარგის გამოყენებით ავტოგადაბმულობის პატარა კბილის შემოწმების პრინციპები; • იცის გადახსნისაგან დამცველის მუშაობის შემოწმება; • იცის ძარის შემადგენელ ნაწილების შეკეთება; 	✓		✓		✓				

	<ul style="list-style-type: none"> • შეაკეთებს ძარის შემადგენელ ნაწილებს; • შეაკეთებს ავტოსაბმის კორპუსს, კლიტეს, კლიტის დამჭერს, მცველს, ამწევს, ლილვაკს და სხვა შემადგენელ ნაწილებს; • ამოწმებს შეკეთებული და აწყობილი ავტოსაბმელის ტექნიკურ გამართულობას. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის ავტოსაბმის კორპუსის, კლიტის, კლიტის დამჭერის, მცველის, ამწევის, ლილვაკის და სხვა შემადგენელი ნაწილების შეკეთება; • იცის შეკეთებული და აწყობილი ავტოსაბმელის ტექნიკურ გამართულობის შემოწმება. 									
<p>სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება</p>	<ul style="list-style-type: none"> • აღწერს სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების დანიშნულებას და მუშაობის პრინციპებს; • ჩამოთვლის სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმებისა და შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესებს; • აღწერს სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმების და შესაძლო უწყესივრობების გამოვლენის ხერხებს; • აღწერს ურიკის ძირითადი კვანძების ტექნიკურ მახასიათებლებს; • აღწერს ტექნიკური მომსახურებისას სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს; • აღწერს სავალი ნაწილის დაშლისა და აწყობის წესს; • აღწერს მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სავალი 	<ul style="list-style-type: none"> • იცის სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები; • იცის სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმებისა და შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესები; • იცის სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმების და შესაძლო უწყესივრობების გამოვლენის ხერხები; • იცის ურიკის ძირითადი კვანძების ტექნიკურ მახასიათებლები; • იცის ტექნიკური მომსახურებისას სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნები; • იცის სავალი ნაწილის დაშლისა და აწყობის წესი; • იცის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სავალი ნაწილის 	✓		✓		✓				

	<p>ნაწილის ტექნიკური მომსახურების წესებს;</p> <ul style="list-style-type: none"> • აღწერს სატვირთო ვაგონის შემოწმებისათვის საჭირო ხელსაწყოების/ დანადგარების/ სამარჯვების მუშაობის პრინციპს; • ჩამოთვლის სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმებისა და შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესებს; • ადგენს სავალი ნაწილის და მისი ძირითადი კვანძების ტექნიკურ მდგომარეობას და გამოავლენს უწესიერობას; • შლის და აწყობს სავალი ნაწილის კვანძებს და დეტალებს; • ამოწმებს სამუხრუჭე ბერკეტული გადაცემას; • უზრუნველყოფს საბუქსე კვანძის საპოხი მასალით შევსებას; • ცვლის ურიკის გვერდით ჩარჩოს და მწყობრიდან გამოსულ ფრიქციულ თამასებს ახლით; • ცვლის რესორული ჩამოკიდების დეტალებს. 	<p>ტექნიკური მომსახურების წესები;</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის სატვირთო ვაგონის შემოწმებისათვის საჭირო ხელსაწყოების/ დანადგარების/ სამარჯვების მუშაობის პრინციპები; • იცის სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმებისა და შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესები; • იცის სავალი ნაწილის და მისი ძირითადი კვანძების ტექნიკურ მდგომარეობის დადგენა და უწესიერობის გამოვლენა; • იცის სავალი ნაწილის კვანძებისა და დეტალების დაშლა და აწყობა; • იცის სამუხრუჭე ბერკეტული გადაცემის შემოწმება; • იცის საბუქსე კვანძის საპოხი მასალით შევსება; • იცის ურიკის გვერდით ჩარჩოს და მწყობრიდან გამოსულ ფრიქციულ თამასებს ახლით შეცვლა; • იცის რესორული ჩამოკიდების დეტალების შეცვლა. 									
სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება	<ul style="list-style-type: none"> • აღწერს სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების დანიშნულებას და მუშაობის პრინციპებს; 	<ul style="list-style-type: none"> • იცის სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები; 	✓		✓		✓				

	<ul style="list-style-type: none"> • ჩამოთვლის სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმებისა და შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესებს; • აღწერს სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმების და შესაძლო უწესიერობების გამოვლენის ხერხებს; • აღწერს ურიკის ძირითადი კვანძების ტექნიკურ მახასიათებლებს; • აღწერს ტექნიკური მომსახურებისას სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს; • აღწერს სავალი ნაწილის დაშლისა და აწყობის წესს; • აღწერს მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სავალი ნაწილის ტექნიკური მომსახურების წესებს; • აღწერს სამგზავრო ვაგონის შემოწმებისათვის საჭირო ხელსაწყოების/ დანადგარების/ სამარჯვების მუშაობის პრინციპს; • ჩამოთვლის სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმებისა და შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესებს; • ადგენს სავალი ნაწილის და მისი ძირითადი კვანძების 	<ul style="list-style-type: none"> • იცის სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმებისა და შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესები; • იცის სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმების და შესაძლო უწესიერობების გამოვლენის ხერხები; • იცის ურიკის ძირითადი კვანძების ტექნიკურ მახასიათებლები; • იცის ტექნიკური მომსახურებისას სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნები; • იცის სავალი ნაწილის დაშლისა და აწყობის წესი; • იცის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სავალი ნაწილის ტექნიკური მომსახურების წესები; • იცის სამგზავრო ვაგონის შემოწმებისათვის საჭირო ხელსაწყოების/ დანადგარების/ სამარჯვების მუშაობის პრინციპები; • იცის სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმებისა და შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესები; • იცის სავალი ნაწილის და მისი ძირითადი კვანძების 									
--	---	---	--	--	--	--	--	--	--	--	--

	<p>ტექნიკურ მდგომარეობას და გამოავლენს უწყესივრობას;</p> <ul style="list-style-type: none"> • შლის და აწყობს სავალი ნაწილის კვანძებს და დეტალებს; • ამოწმებს სამუხრუჭე ბერკეტული გადაცემას; • უზრუნველყოფს საბუქსე კვანძის საპოხი მასალით შევსებას; • ცვლის ურიკის გვერდით ჩარჩოს და მწყობრიდან გამოსულ ფრიქციულ თამასებს ახლით; • ცვლის რესორული ჩამოკიდების დეტალებს. 	<p>ტექნიკურ მდგომარეობის დადგენა და უწყესივრობის გამოვლენა;</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის სავალი ნაწილის კვანძებისა და დეტალების დაშლა და აწყობა; • იცის სამუხრუჭე ბერკეტული გადაცემის შემოწმება; • იცის საბუქსე კვანძის საპოხი მასალით შევსება; • იცის ურიკის გვერდით ჩარჩოს და მწყობრიდან გამოსულ ფრიქციულ თამასებს ახლით შეცვლა; • იცის რესორული ჩამოკიდების დეტალების შეცვლა. 									
<p>სამუხრუჭო მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ამოწმებს მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემის კვანძებს; • შლის სამუხრუჭე სისტემას (ბერკეტული გადაცემა); • აკეთებს მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემის კვანძებს; • აწყობს (ამონტაჟებს) სამუხრუჭე სისტემის კვანძებს; • ამოწმებს (არეგულირებს) შეკეთებული სამუხრუჭე სისტემის გამართულობას; 	<ul style="list-style-type: none"> • იცის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემის კვანძების დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; • იცის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემის კვანძების მოვლისა და შენახვის წესები; • იცის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემის კვანძების ტექნოლოგიური პროცესი და ინსტრუქციები; • იცის სამუხრუჭე სისტემის (ბერკეტული გადაცემის) დაშლა; • იცის სამუხრუჭე სისტემის (ბერკეტული გადაცემის) მოვლისა და შენახვის წესები; 	✓		✓		✓				

	<ul style="list-style-type: none"> • აბარებს ხელმძღვანელს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის სამუხრუჭე სისტემის (ბერკეტული გადაცემის) მუშაობის ტექნოლოგიური პროცესი და ინსტრუქციები; • იცის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემის კვანძების დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; • იცის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემის კვანძების მოვლისა და შენახვის წესები; • იცის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემის კვანძების შეკეთების ტექნოლოგიური პროცესი და ინსტრუქციები; • იცის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემის კვანძების დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; • იცის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემის კვანძების აწყობის/დამონტაჟების წესები; • იცის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემის კვანძების აწყობის/დამონტაჟების ტექნოლოგიური პროცესი და ინსტრუქციები; • იცის იმოდრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემის დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; 									
--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> • იცის სამუხრუჭე სისტემის შეკეთების შემდგომი დასაშვები ნორმები; • იცის სამუშაოს უსაფრთხოების ტექნიკის წესები და სამუხრუჭე სისტემის მუშაობის ტექნოლოგიური პროცესი; • იცის ეფექტური კომუნიკაციის ხერხები; • იცის პროფესიული ეთიკის ნორმები; <p>თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა.</p>								
რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობის შემოწმება-შეკეთება	<ul style="list-style-type: none"> • ამოწმებს რეფსექციის ტექნიკურ გამართულობას, სადიზელო და სამაცივრო საკომპროსერო მანაქანა-დანადგარებს და სატვირთო ვაგონის მუშაობის რეჟიმებს; • აწარმოებს რეფსექციების მიმდინარე რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას; • ამოწმებს ტვირთის ხარისხის სერტიფიკატს, დატვირთვის დროს და სატვირთო ვაგონების დამღებს; • არეგულირებს სატვირთო ვაგონებში ტვირთის ტემპერატურულ რეჟიმებს; • ამოწმებს დატვირთული სატვირთო ვაგონების დამღებს, საკომპრესორო, სადიზელო და სამაცივრო 	<ul style="list-style-type: none"> • იცის სადიზელო და სამაცივრო საკომპროსერო მანაქანა-დანადგარების დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; • იცის სამუშაოს უსაფრთხოების ტექნიკის წესები და შემოწმების ტექნოლოგიური პროცესი, მათ შორის ექსპლუატაციის დროს; • იცის რეფრიჟერატორული სექციის დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; • იცის ტვირთის ხარისხის სერტიფიკატთან შესაბამისობის დადგენა; • იცის სატვირთო ვაგონების კარებების დამღების დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; 	✓		✓		✓			

	<p>დანადგარების მუშაობის რეჟიმს;</p> <ul style="list-style-type: none"> • ექსპლუატაციისას რეფსექციის დაზიანების შემთხვევაში, აცნობებს ხელმძღვანელ პირს დაზიანების აღმოფხვრის მიზნით; • აწარმოებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ დოკუმენტაციას, მათ შორის საწვავ-საპოხი საცხების და მაცივარაგენტის მასალების ხარჯების აღრიცხვიანობას. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის სატვირთო ვაგონებში ტვირთის ტემპერატორული რეჟიმები; • იცის სატვირთო ვაგონების დამღები, საკომპრესორო, სადიზელო და სამაცივრო დანადგარების მუშაობის რეჟიმი; • იცის ეფექტური კომუნიკაციის ხერხები; • იცის პროფესიული ეთიკის ნორმები; • იცის თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა; • იცის ჩანაწერების წარმოება შესაბამის დოკუმენტაციაში; • იცის საწვავ-საპოხი საცხების და მაცივარაგენტის მასალების ხარჯვის ნორმები. 									
<p>სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება</p>	<ul style="list-style-type: none"> • აღწერს სამგზავრო ვაგონის შიდა მოწყობილობის დანიშნულებას და მის შემადგენელ ელემენტებს; • ჩამოთვლის სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების შეკეთების და პირადი უსაფრთხოების წესებს; • აღწერს სამგზავრო ვაგონის ცივი და ცხელი წყალმომარაგების სისტემას, შემადგენელი კვანძების და მათი გამართული მუშაობის შემოწმების პროცესს; 	<ul style="list-style-type: none"> • აღწერს სამგზავრო ვაგონის შიდა მოწყობილობის დანიშნულებას და მის შემადგენელ ელემენტებს; • ჩამოთვლის სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების შეკეთების და პირადი უსაფრთხოების წესებს; • აღწერს სამგზავრო ვაგონის ცივი და ცხელი წყალმომარაგების სისტემას, შემადგენელი კვანძების და მათი გამართული მუშაობის შემოწმების პროცესს; 	✓		✓		✓				

	<ul style="list-style-type: none"> • აღწერს სამგზავრო ვაგონის სანიტარული კვანძების და მათი გამართულად მუშაობის შემოწმების წესებს; • აღწერს სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების საექსპლუატაციო პირობებს; • აღწერს სამგზავრო ვაგონის გათბობის სისტემას (კომბინირებული გათბობის სისტემები) შემადგენელი კვანძების დანიშნულებას და მათი გამართული მუშაობის შემოწმების პროცესს; • შეაკეთებს საკეტ მოწყობილობებს; • შეაკეთებს ფანჯრის მოწყობილობებს; • შეამოწმებს სანიტარულ კვანძებს, ცვლის მწყობრიდან გამოსულ დეტალს და მოჰყავს შესაბამისობაში საექსპლუატაციო პარამეტრებთან; • სავენტილაციო არხები მოჰყავს შესაბამისობაში საექსპლუატაციო პარამეტრებთან; • ახდენს სამგზავრო ვაგონის გათბობის სისტემის შეკეთებას და გამოცდას; • შლის გათბობის ქვაბს, აღმოაჩენს და ცვლის მწყობრიდან გამოსულ დეტალს; 	<ul style="list-style-type: none"> • აღწერს სამგზავრო ვაგონის სანიტარული კვანძების და მათი გამართულად მუშაობის შემოწმების წესებს; • აღწერს სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების საექსპლუატაციო პირობებს; • იცის სამგზავრო ვაგონის გათბობის სისტემას (კომბინირებული გათბობის სისტემები) შემადგენელი კვანძების დანიშნულებას და მათი გამართული მუშაობის შემოწმების პროცესი; • იცის საკეტი მოწყობილობების შეკეთება; • იცის ფანჯრის მოწყობილობების შეკეთება; • იცის სანიტარულ კვანძების შემოწმება და მწყობრიდან გამოსული დეტალების შეცვლა/შეკეთება; • იცის სავენტილაციო არხების საექსპლუატაციო პარამეტრებთან შესაბამისობაში მოყვანა; • იცის სამგზავრო ვაგონის გათბობის სისტემის შეკეთება და გამოცდა; • იცის გათბობის ქვაბის დაშლა, და მწყობრიდან გამოსული დეტალის შეცვლა; • იცის ცხელი და ცივი წყლის ქვაბის (ბოილერის) შემოწმება/შეკეთება; 									
--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

	<ul style="list-style-type: none"> • შლის ხელის ტუმბოს, აღმოაჩენს მწყობრიდან გამოსულ დეტალს, ცვლის მწყობრიდან გამოსულ დეტალს, გამოცდის და ამონტაჟებს; • შეაკეთებს ცხელი და ცივი წყლის ქვაბს (ბოილერს); • ახდენს სამგზავრო ვაგონის წყალმომარაგების სისტემის შეკეთებას და გამოცდას; • ახდენს სამგზავრო ვაგონის კარებების და კარის საკეტი მოწყობილობების შეკეთებასა და რეგულირებას; • ახდენს სანიტარული კვანძების შეკეთებას; • ახდენს კონდიციონერებისა და სავენტილაციო სისტემის არხების შეკეთებას; • ახდენს სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობების შეკეთებას; • ათვალიერებს სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების (სამგზავრო ვაგონების სალონში განლაგებული ინფრასტრუქტურა) გამართულობას და გამოავლენს დაზიანებებს; • ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად სინჯავს შიდა მოწყობილობის სალონში 	<ul style="list-style-type: none"> • იცის სამგზავრო ვაგონის წყალმომარაგების სისტემის შეკეთება და გამოცდა; • იცის სამგზავრო ვაგონის კარებების და კარის საკეტი მოწყობილობების შეკეთება და რეგულირება; • იცის სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების (სამგზავრო ვაგონების სალონში განლაგებული ინფრასტრუქტურა) დაზიანებების გამოვლენა. 									
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

	განთავსებული კვანძების გამართულ მდგომარეობას.											
სამგზავრო ელექტროდანადგარებისა და ელექტრომოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	ვაგონების და შემოწმება-	<ul style="list-style-type: none"> • აღწერს სამგზავრო ვაგონების ელექტრომომარაგების სისტემის (ცენტრალიზირებული, ინდივიდუალური) დანიშნულება, კონსტრუქციები და მუშაობის პრინციპებს; • აღწერს ელექტრომომარაგების სისტემის შესაძლო გაუმართაობებს და მათი გამოვლენის ხერხებს; • აღწერს ელექტრომომარაგების სისტემის საექსპლუატაციო პირობებს; • აღწერს ტექნიკური მომსახურებისას ელექტრომომარაგების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნებს; • აღწერს ელექტრომომარაგების სისტემას და მის შემადგენელ კვანძებს; • აღწერს სააკუმლატორო ბატარეებში ელექტროლიტის დონის და სიმკვრივის 	<ul style="list-style-type: none"> • იცის სამგზავრო ვაგონების ელექტრომომარაგების სისტემის (ცენტრალიზირებული, ინდივიდუალური) დანიშნულება, კონსტრუქციები და მუშაობის პრინციპები; • იცის ელექტრომომარაგების სისტემის შესაძლო გაუმართაობების და მათი გამოვლენის ხერხები; • იცის ელექტრომომარაგების სისტემის საექსპლუატაციო პირობები; • იცის ტექნიკური მომსახურებისას ელექტრომომარაგების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები; • იცის ელექტრომომარაგების სისტემას და მის შემადგენელი კვანძები; • იცის სააკუმლატორო ბატარეებში ელექტროლიტის დონის და სიმკვრივის შემოწმების და ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად, 	✓		✓		✓				

	<p>შემოწმების და ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად, არასათანადო სიმკვრივის შემთხვევაში სააკუმლატორო სიმკვრივის ახლით შეცვლის პროცესს;</p> <ul style="list-style-type: none"> • ამოწმებს და შეაკეთებს ელექტრომომარაგების სისტემის დაზიანებულ უბანს; • შეამოწმებს და შეაკეთებს გენერატორს; • ახდენს გათბობის სისტემის შემოწმება/შეკეთებას; • ახდენს კონდიციონერების სისტემის შემოწმება/შეკეთებას; • ცვლის არასათანადო სიმკვრივის შემთხვევაში ძველ სააკუმლატორო სიმკვრივეს ახლით. 	<p>არასათანადო სიმკვრივის შემთხვევაში სააკუმლატორო სიმკვრივის ახლით შეცვლის პროცესი;</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის ელექტრომომარაგების სისტემის დაზიანებულ უბნის შემოწმება/შეკეთება; • იცის გენერატორის შემოწმება/შეკეთება; • იცის გათბობის სისტემის შემოწმება/შეკეთება; • იცის კონდიციონერების სისტემის შემოწმება/შეკეთება • იცის არასათანადო სიმკვრივის შემთხვევაში ძველი სააკუმლატორო სიმკვრივის ახლით შეცვლა. 									
--	---	---	--	--	--	--	--	--	--	--	--

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს ჯამური 13 კრედიტის მოცულობით და 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. სავაგონო მეურნეობაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 90 კრედიტის დაგროვება

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 90 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 17 თვე ¹
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 22 თვე

¹ პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო კვირების მიხედვით. თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი დგინდება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, 2 კვირა საშობაო, 1 კვირა სააღდგომო და არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული უქმეების გათვალისწინებით.

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	კრედ.
ქართული ენა A2	15
ქართული ენა B1	15
	30

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები	2
2.	უცხოური ენა	3
3.	მეწარმეობა	4
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	ინფორმაციული წიგნიერება	2
		13

პროფესიული მოდულები		
ბლოკი 1		
5.	საინჟინრო ხაზვა	5
6.	მეტროლოგია	3
7.	გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1
8.	რკინიგზის ზოგადი კურსი	4
9.	ზოგადი ელექტროტექნიკა	3
10.	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2
11.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
ბლოკი 2		
12.	სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	7
13.	ვაგონის ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	8
14.	სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება	8
15.	სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება	8
16.	სამუხრუჭო მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	8
17.	რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობის შემოწმება-შეკეთება	6
18.	სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	6
19.	სამგზავრო ვაგონების ელექტროდანადგარებისა და ელექტრომოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	5
		77
სულ		90

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 114 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 114 კრედიტი;

- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 21 თვე
- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 144 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 26 თვე

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	კრედიტი
01 ქართული ენა A2	15
02 ქართული ენა B1	15
	30

ინტეგრირებული მოდულები	
მოდულის დასახელება	კრედიტი
1. კომუნიკაცია ქართულ ენაზე	8
2. მათემატიკური წიგნიერება	7
3. მეცნიერება და ტექნოლოგიები	6
4. მოქალაქეობა	6
5. სპორტი	2
6. ესთეტიკა	1

	30
--	----

ზოგადი მოდულები		
მოდულის დასახელება		კრედიტი
7.	უცხოური ენა	3
8.	მეწარმეობა	4
		7

პროფესიული მოდულები	
ბლოკი 1	
საინჟინრო ხაზვა	5
მეტროლოგია	3
გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1
რკინიგზის ზოგადი კურსი	4
ზოგადი ელექტროტექნიკა	3
საზენკლო ოპერაციების შესრულება	2
მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
ბლოკი 2	
სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	7
ვაგონის ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	8
სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება	8
სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება	8
სამუხრუჭო მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	8
რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობის შემოწმება-შეკეთება	6
სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	6
სამგზავრო ვაგონების ელექტროდანადგარებისა და ელექტრომოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	5
სულ	90

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები	2		
უცხოური ენა	3		დისტანციური
მეწარმეობა	4		
რაოდენობრივი წიგნიერება	2		დისტანციური
ინფორმაციული წიგნიერება	2		დისტანციური
პროფესიული მოდულები			
ბლოკი 1			
საინჟინრო ხაზვა	5		
მეტროლოგია	3		
გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1		
რკინიგზის ზოგადი კურსი	4		დისტანციური
ზოგადი ელექტროტექნიკა	3		
საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2		
მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3		
ბლოკი 2			

სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	7		დისტანციური
ვაგონის ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	8	✓	
სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება	8	✓	
სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება	8	✓	
სამუხრუჭო მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	8	✓	
რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობის შემოწმება-შეკეთება	6	✓	
სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	6	✓	
სამგზავრო ვაგონების ელექტროდანადგარებისა და ელექტრომოწყობილობების შემოწმება-შეკეთება	5	✓	
სულ კრედიტები	90		

12. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემპის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;

- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაზუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

13. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები: 90 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 120 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 114 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 144 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - სავაგონო მეურნეობა; Railway Car Maintenance(სარეგისტრაციო ნომერი - 07.21.1) მიხედვით.

16. პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

პროგრამას თან ერთვის დანართები

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი);
- ადაპტირებული მოდულები;
- სასწავლო გეგმები (ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე);
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი;

პროგრამის ხელმძღვანელი(ებ)ი

ნათია სვანიძე

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
ხარისხის მართვის მენეჯერი

გიორგი დოდელია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
დირექტორი

მთა მარჯიშვილი



მანანა მოიხწრაფიშვილი